პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 43 (2086) კვირა, 27 ოქტომბერი, 1985 წელი. ● ფასი 2 კაპ.

## Из официальных сообщений

**София. 24 октября. (ТАСС)** Сегодня состоялась встреча М. С. Горбачева с руководством Болгарской коммунистической партии. В ней приняли участие Генеральный секретарь ЦК БКП Т. Живков, члены и кандидаты в члены Политбюро ЦК БКП, секретари БКП.

В ходе беседы был затронут широкий круг вопросов советско - болгарских отношений, развития международной обстановки. Особое внимание было уделено практическим мерам, связанным с реализацией договоренностей, достигнутых на высшем уровне. Выражена уверенность, что работа в этом направлении будет способствовать дальнейшему совершенствованию и углублению всестороннего сотрудничества между КПСС и БКП, СССР и НРБ, их взаимодействию на международной арене.

Встреча прошла в сердечной, товарищеской обстановке, в духе единства взглядов по всем обсуждающимся вопросам.

## სახალხო რაზმეულებთან კავშირით

**ვ. შადური,**
**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.**

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ამხანაგმა მ. გორბაჩოვმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ აუცილებელია სახელმწიფო დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცება თითოეულ შრომითს უჯრედში, თითოეულ ქალაქში და სოფელში. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატიოსნებასა და ღირსებას ვერ შელახავენ ვერავითარი ხულიგნები, ქურდები და საზოგადოების სხვა ანტიპოდები, რომ მათს ქონებასა და კანონიერ უფლებას დაიცავენ სამართალდაცვის ორგანოები.

გვაქვს თუ არა პარტიისა და ხალხის ამ მოთხოვნების შესრულების რეალური შესაძლებლობანი? დიახ, გვაქვს. ეს ძალუძთ მილიციის ორგანოებს მშრომელთა ფართო ფენებთან და, უწინარეს ყოვლისა, ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან მჭიდრო კონტაქტით.

ამას წინათ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა შტაბმა შეაჯამა რაზმეულების 1985 წლის პირველი ნახევრის საქმიანობის შედეგები. ამასთან დაკავშირებით მინდა მკითხველს ვესაუბრო იმის თაობაზე, თუ რას მივაღწიეთ და რა გადაუჭრელი პრობლემები დგას ჩვენს წინაშე.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო შინაგან საქმეთა ძალებისა და ქვეგანაყოფების, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ფორმირებების გააქტიურებამ. დღეს ძნელი წარმოსადგენია ისეთი ქალაქი, რაიონი თუ სოფელი, სადაც საღამოობით ქუჩებში არ დადიოდნენ წითელსამკლავურიანი რაზმელები, რომლებიც ფხიზლად იცავენ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ისინი მილიციასთან მხარდამხარ მუშაობენ და გვეხმარებიან თავიდან ავიცილოთ ადამიანთა შორის კონფლიქტური სიტუაციები, მონაწილეობენ დამნაშავეთა დაკავებაში, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვაში.

საზოგადოებრივი წესრიგის და მართლწესრიგის დაცვაში მილიციის ორგანოებისა და საზოგადოებრივ ფორმირებათა ურთიერთმოქმედების შემდგომი გაუმჯობესების საკითხები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დაუცხომელი ზრუნვის საგანია. ამას ადასტურებს სახალხო რაზმეულების სწავლების გაუმჯობესების, მილიციის ორგანოებთან მათი ურთიერთმოქმედების დახვეწისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მრავალი წლის პატრიოტულმა საქმიანობამ არა მარტო ის დაამტკიცა, რომ იგი ცხოველუნარიანი და ეფექტიანი საშუალებაა სისხლის სამართლის დანაშაულობათა წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტაში, არამედ, რაც მთავარია, დაადასტურა, რომ საბჭოთა ადამიანს უნარი შესწევს დაამკვიდროს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

ხომ იყო დრო, როცა სისხლის სამართლის დანაშაულის — ამ ღრმად სოციალური პრობლემის — გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები - ძირითადად ადმინისტრაციული ორგანოების ფარგლებში წყდებოდა. ახლა უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ იგი არაკომპლექსურად, მრავალი საზოგადოებრივი ფორმირების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების, მასობრივი აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებების აქტიური მონაწილეობის გარეშე გადაიჭრას. ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია ჩვენი ნორმალური მუშაობა პარტიული ხელმძღვანელობის იმ მწყობრი სისტემის გარეშე, რომელსაც წარმატებით ახორციელებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა. მაგალითად, სახალხო რაზმეულების ამოცანები მიმდინარე წლისათვის ჩვენ განვსაზღვრეთ არა მარტო დამნაშავეობის სტატისტიკით და დინამიკით დადასტურებული ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით, არამედ იმ ინფორმაციის საფუძველზეც, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი იღებს.

დღეს რესპუბლიკაში 6800 ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულია, რომლებშიც გაერთიანებულია ათობით ათასი რაზმელი. ეს მთელი არმიაა, რომელსაც სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა ძალუძს. უმეტესად რაზმელები იდეურად გამოწრთობილი ადამიანები არიან, რომლებსაც დიდი ცხოვრებისეული სკოლა აქვთ გამოვლილი. მათ შორის ნახავთ შრომის გმირებს, დეპუტატებს, პარტიისა და შრომის ვეტერანებს, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს, ახალგაზრდებს, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებსაც სრულიად

(დასასრული მე-2 გვ.).

## НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГССР

были рассмотрены вопросы состояния борьбы с хищениями соцсобственности в агропромышленном комплексе и задачах аппаратов БХСС по ее совершенствованию, работы участковых инспекторов милиции Орджоникидзевского РОВД по организации профилактики правонарушений, укреплению связей с общественностью в свете требований постановления вышестоящих органов, работы руководящих кадров и политаппарата УВД г. Кутаиси по воспитанию молодых сотрудников, созданию им надлежащих условий службы, быта и отдыха, работы следователей следственных аппаратов МВД ГССР по расследованию дел о хищениях социалистической собственности.

На заседании коллегии были рассмотрены и другие вопросы, по которым приняты соответствующие постановления.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიულ კომიტეტში

**ახლახან** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის სხდომამ განიხილა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები

სხდომაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება მოითხოვს კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, ინდივიდუალური მუშაობის გაუმჯობესებას კომკავშირლებში აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ფორმირებისათვის, მოთხოვნილების გამომუშავებას — იყვნენ საბრძოლო ავანგარდში პარტიის მოთხოვნათა შესასრულებლად.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგად შესამჩნევად განახლდა კომკავშირული აქტივის შემადგენლობა. კამპანიის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში კომკავშირულ აქტივს დიდ ყურადღებას აქცევდნენ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევდნენ სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები.

მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები საზოგადოებრივი წესრიგის და საბანძრო დაცვის, შრომა-გასწორების დაწესებულებათა, სამეურნეო სამმართველოების კომკავშირულ ორგანიზაციებში, რაც პირველ რიგში განაპირობა პარტიულ ორგანიზაციათა დროულმა დახმარებამ.

ამასთან ერთად, საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და ჩატარებისას არასაუწყებო დაცვის სამმართველოსა და საკარანტინო ღონისძიებათა ქვედანაყოფში შესამჩნევი იყო რიგი ნაკლოვანებები.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ გამოავლინა სამინისტროს კომკავშირული ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები; მიუთითა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ძირეული გაუმჯობესების აუცილებლობაზე, კომკავშირელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხები, რომლებზეც მიიღეს შესაბამისი დადგენილებები,

## ИТОГИ ОТЧЕТОВ И ВЫБОРОВ

Ответственные задачи по претворению в жизнь решений XXVI съезда КПСС, последующих пленумов ЦК КПСС требуют дальнейшего усиления боевитости и сплоченности комсомольских организаций, улучшения индивидуальной работы, как действенного средства формирования у комсомольцев активной жизненной позиции, потребности быть в авангарде борьбы за выполнение требований партии.

В результате проведенной отчетно-выборной кампании значительно обновился состав комсомольского актива. Вновь избрано 8 секретарей комсомольских организаций на правах первичных, 16 человек из общего количества секретарей с высшим и незаконченным высшим образованием, 10 офицеров, 6 членов партии.

В период подготовки и проведения отчетно-выборных комсомольских собраний большое внимание и организационную помощь комсомольскому активу оказывали руководители и партийные организации управлений и отделов на местах.

На высоком организационно-политическом уровне прошли отечтно-выборные собрания в первичных комсомольских организациях УПО, отдела охраны совпарторганов, УИТУ, ХОЗУ, УООП, что в большей степени было обусловлено своевременной помощью со стороны партийных организаций управлений и отделов.

Вместе с тем, в подготовке и проведении собраний в комсомольских организациях УВО, подразделении по проведению карантийных мероприятий и ряда других имелись недостатки и упущения. В докладах секретарей этих организаций С, Мейпариани, З. Ломидзе недостаточно самокритично была отражена проделанная организацией работа, проявлена излишняя осторожность, не назывались конкретные причины и виновники недостатков, не была дана принципиальная оценка деятельности членов бюро и секретарей. Вопросы состояния дисциплины, морально-политического климата в коллективе, условий труда и быта оставлены без внимания.

Перечисленные недостатки при проведении отчетно-выборных собраний обусловлены недостаточным вниманием со стороны партийных организаций, несмотря на неоднократные указания со стороны парткома. Не во всех комсомольских коллективах ощущается авангардная роль комсомольцев и несоюзной молодежи в решении актуальных задач, стоящих перед отраслевыми службами и в целом перед министерством. Есть еще молодые сотрудники с низким профессиональным уровнем. Требует улучшения состояние учета и снятие с учета членов ВЛКСМ, которые после ухода с работы остаются вне контроля комсомольских организаций.

Некоторые секретари парторганизаций и руководители не уделяют должного внимания работе с комсомольцами и молодежью.

Отчетно-выборная кампания вскрыла недостатки, имеющиеся в практической деятельности комитета комсомола и комсомольских организаций министерства, указала на необходимость коренного улучшения работы по руководству первичными комсомольскими организациями, принятию мер по повышению чувства ответственности комсомольцев за порученный участок работы.

Есть уверенность, что положение в отстающих организациях изменится в лучшую сторону. В этом направлении комитетом комсомола проводится определенная работа. Ряды секретарей пополнили вновь избранные товарищи, укрепились они и за счет партийных кадров.

**Г. ДАДИАНИ,**
**секретарь комитета комсомола МВД ГССР.**

# სახალხო რაზმეულებთან კავშირით

უანგაროდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კარგად და შედეგიანად იმუშავეს, ამასთან გამბედაობა და ოპერატიულობა გამოიჩინეს ქალაქების თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის, მცხეთის, ხელვაჩაურის, ახალციხისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო რაზმეულებმა.

რესპუბლიკის სასაზღვრო რაიონებში რაზმეულები დიდ დახმარებას გვიწევენ სასაზღვრო რეჟიმის დაცვაში.

კიდევ უფრო განვითარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალიზებული რაზმეულების საქმიანობა.

სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს დიდად ეხმარებიან სპეციალიზებული რაზმეულები, რომლებშიც შედიან მძღოლები. ისინი კონტროლს უწევენ არა მარტო საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, არამედ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მდგომარეობასაც. მაგალითად, 1985 წლის დამდეგიდან ასეთი რაზმეულების მონაწილეობით საგზაო მოძრაობის წესების 12 ათასი დამრღვევი და ასობით ისეთი მძღოლი გამოვლინდა, რომლებიც მთვრალები მართავდნენ ავტოტრანსპორტს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბავშვთა საგზაო ტრავმატიზმის პროფილაქტიკა. მისი ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ვიხსნათ ჩვენი ბავშვები უბედური შემთხვევისაგან, არამედ ისიც, რომ ნორჩ მოქალაქეებს ბავშვობიდანვე ვასწავლოთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა.

რაზმეულების პროფილაქტიკური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ვინ არ იცის, რა დიდი ზიანი მოაქვს მას ადამიანისა და საზოგადოებისათვის. ავტოსაგზაო შემთხვევების თითქმის მესამედი ნასვამი მძღოლებისა და ქვეითების ბრალია. ამჟამად რესპუბლიკაში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის 180 სპეციალიზებული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეული მოქმედებს, რომლებშიც გაერთიანებულია 2500-ზე მეტი რაზმელი, მათ შორის დაახლოებით 700 ექიმი და 500-ზე მეტი მედიცინის მუშაკი.

რაზმელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალების მიერ ხულიგნურ გამოვლინებათა აღკვეთას. ანალიზი ადასტურებს, რომ ბოროტი ხულიგნობის 40–45 პროცენტს მთვრალები სჩადიან. ასეთი ხულიგნობა მით უფრო საშიშია, რომ ხშირად იგი მასაზრდოებელი გარემო ხდება უფრო საშიში დანაშაულისათვის.

ხულიგნობის ნიადაგზე ხშირად ხდება განზრახ მკვლელობა, სხეულების დაზიანება, ცეცხლის წაკიდება, მოქალაქეთა პირადი ქონებისა და სახელმწიფო ქონების გაფუჭება-დაზიანება. ამიტომ ხულიგნებს კანონის მთელი სიმკაცრით უნდა მოვექცეთ. იმისათვის, რომ წარმატებით ვებრძოლოთ ხულიგნობას, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები მილიციის თანამშრომლებთან ერთად უნდა პატრულობდნენ იქ, სადაც ხშირად იყრიან თავს სხვადასხვა ჯურის უსაქმურები და ხულიგნები.

ამ ბოლო ხანს მართლწესრიგის დაცვის სისტემაში ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებთან მილიციის ურთიერთმოქმედების ახალი ფორმები დაინერგა. ქალაქებში, სადაც საპატრულო-საგუშაგო ქვეგანაყოფები ფუნქციონირებენ, სპეციალურ რაზმელებს იყენებენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებთან შეწყვილებით. ამ გზით იზრდება განწესების რიცხვი და უმჯობესდება წესრიგის დაცვისათვის მუშაობის ხარისხი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანისა და საქარხნო რაიკომებმა მხარი დაუჭირეს ჩვენი სამინისტროს ინიციატივას, რომ მოეწყოს ექსპერიმენტი, რომლის დროსაც მართლწესრიგის დაცვაში გამოიყენებენ მილიციისა და საზოგადოებრივ ძალებს საპატრულო უბნების შექმნის გზით. რაზმელები წესრიგის დასაცავად საზოგადოებრივი პუნქტებიდან გამოვლენ საპატრულო უბნების ხელმძღვანელი მილიციის უფროსი უბნის ინსპექტორების მეთაურობით, მოაწყობენ რაზმეულებისა და საპატრულო განწესების ურთიერთმოქმედებას, დაეხმარებიან მათ და კონტროლს გაუწევენ სამსახურს.

საზოგადოებრიობასთან მუშაობის ახალმა სისტემამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლა აღნიშნულ რაიონებში მნიშვნელოვნად ნაკლები დანაშაულია აღრიცხული.

სოფლად შეიქმნა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სპეციალური ჯგუფები 5-8 კაცის შემადგენლობით; ესენი არიან სოფლის ყველაზე პატივცემული მცხოვრებნი, რომლებიც უბნის ინსპექტორებთან ერთად გამაფრთხილებელ პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან და მილიციის ორგანოებს ეხმარებიან. ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა მცხეთის, ხელვაჩაურის, ახალციხის, სოხუმისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

მაგრამ რაზმეულების საქმიანობაში პოზიტიური ძვრების მიუხედავად, რესპუბლიკის ბევრ რაიონში მას ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათი აქვს. ლაგოდეხის რაიონში რაზმელთა ასეთი ჯგუფები თითქმის ყველა სოფელშია შექმნილი, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ 900-ზე მეტ რაზმელს არავითარი კონკრეტული მაჩვენებლები არა აქვთ. ასეთივე ვითარებაა სიღნაღის რაიონშიც.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო და რაიონულმა შტაბებმა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა იუსტიციის სამინისტროსთან ერთად სერიოზულად უნდა იზრუნონ რაზმელების სწავლების ორგანიზაციისათვის.

მარნეულის, გარდაბნის, სიღნაღის, გორისა და სხვა რაიონებში რეგულარულად არ ეწყობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მეცადინეობანი და სწავლება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებში რაზმელების სუსტი მომზადების გამო კი მათ ეფექტიანად ვერ იყენებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

რაზმელების მრავალფეროვან და ძალზე საინტერესო საქმიანობას კამპანიურობის კი არა, მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მაშინ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ დაცხრება, არამედ დღენიადაგ გაძლიერდება.

მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ მორალურ-ზნეობრივი კლიმატის საბოლოო გაუმჯობესებას და ამის საფუძველზე ჩვენს სოფლებში და ქალაქებში ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა შემცირებას.

(იბეჭდება შემოკლებით. „კომუნისტი“, 23 ოქტომბერი, 1985 წელი).

ТРЕЗВОСТЬ — НОРМА ЖИЗНИ

# «ПОРЯДОК в собственном доме»

Партией и правительством перед органами внутренних дел поставлена ответственная задача — обеспечить неуклонное проведение в жизнь требований законодательства по борьбе с пьянством и алкоголизмом, решительно пресекать нарушения правил торговли спиртными напитками, искоренять самогоноварение и спекуляцию спиртным.

Успешное решение перечисленных мер во многом зависит от наведения образцового порядка, так сказать в собственном доме, от соблюдения каждым сотрудником строжайшей дисциплины.

Среди личного состава Дманисского РОВД проделана определенная работа, призванная полностью искоренить факты употребления спиртных напитков, усилить действенность антиалкогольной пропаганды.

Работу в этом направлении начали с анализа положения дел в райотделе. Лиц, злоупотребляющих спиртным, не оказалось. Несмотря на это, требование партии и правительства о решительном преодолении пьянства и алкоголизма были доведены до глубокого сознания каждого сотрудника на политинформациях, оперативных совещаниях и открытых партийном и комсомольском собраниях с участием всего личного состава райотдела, а также на расширенном оперативном совещании с участием начальника отдела по руководству медвытрезвителями подполковника милиции И. Назлидиса.

В коллективе райотдела установилась практика индивидуальных бесед с каждым сотрудником. На этих беседах уделяют внимание состоянию положения в семье сотрудника. В разговорах разъясняют вредность традиций устраивать пышные свадьбы, многолюдные поминки, где собираются по двести — триста человек. Разъяснять и вредность такого религиозного обряда, распространенного в районе, как сунат, крещение, которые, как правило, не обходятся без выпивки.

В райотделе практикуются поздравления сотрудников, членов их семей с днем рождения. Для этих же целей имеется специальный стенд. С именинником также проводят профилактическую беседу о недопущении организации с его стороны пышного застолья с распитием спиртных напитков.

Помимо этого, в райотделе с нового года функционирует столовая. Открытие ее как нельзя лучше помогает руководству в антиалкогольной работе. Ведь раньше сотрудники обедали в ресторанах, хинкальной, закусочной, где постоянно возникали ситуации, побуждающие к употреблению спиртных напитков.

Сейчас положение резко изменилось. Все сотрудники уже привыкли обедать в своей столовой. Во-первых, дешево, во-вторых, не надо терять время, да и готовят здесь вкусно.

Вместо отживающих традиций вводятся новые. В последнее время в райотделе утвердилась такая традиция, как празднование присвоения очередного звания. Эта форма, думается, получит распространение, и на другие семейные торжества.

Большую помощь в антиалкогольной работе оказывает физкультура и спорт. При райотделе функционирует спортивно - оздоровительный комплекс, расположенный в ущелье реки Машавера, где сотрудники райотдела и члены их семей регулярно занимаются спортом. А в плохую погоду занятия переносятся в спортзал, который оборудован во дворе РОВД на месте отслужившей свой век котельной. Активно работает клуб любителей бега.

Разнообразен и культурный досуг сотрудников райотдела. Еженедельно в клубе РОВД транслируются кинофильмы. Показывают там и документальные фильмы о вреде алкоголизма и его последствиях. Там же, в клубе, в праздничные дни устраиваются концерты художественной самодеятельности.

В ленинской комнате к услугам желающих всегда есть свежие газеты, журналы, политическая литература. Там можно послушать музыку, посмотреть телевизор. Периодически устраиваются экскурсии в Тбилиси с посещением памятных и исторических мест.

Все это положительно сказывается на морально-психологическом климате в коллективе, его боеспособности, умении быстро и правильно решать стоящие перед ним оперативно - служебные задачи.

**В. МИРОШНИЧЕНКО.**

**(Наш спец. корр.).**
Дманисский район.

# მსჯელობს რესპუბლიკური კომისია

ამას წინათ დამთავრდა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაციები: „მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შესახებ“, „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად მუშაობის შედეგების შესახებ“, „გზებსა და ავტომაგისტრალებზე საგზაო ნიშნების დადგმის თაობაზე“, „რესპუბლიკური კომისიის დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ და სხვ. სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი მ. ანჯაფარიძე, ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ბ. სალინაძე, № 42 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსი გ. ბარქაია, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მოძრაობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ი. კვარჭეია.

ინფორმაციების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ანთელავამ, აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილემ დ. სილაგაძემ, ოჩამჩირის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კორტავამ, გალის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ რ. დგებუაძემ და სხვებმა.

სხდომაზე განიხილეს ავტოსაგზაო შემთხვევები. ოჩამჩირე-ტყვარჩელის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ სხდომამ გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება.

ოჩამჩირის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების და სახელმწიფო ავტოინსპექციის ხელმძღვანელობას მიეთითა, რომ საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაკებმა არასაკმარისი შეფასება მისცეს ფაქტს და არ გააკეთეს ყველაფერი იმისათვის, რომ არ მომხდარიყო უბედური შემთხვევა.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შ. შაკაიამ.

Если посмотреть в трудовую книжку Ясина Оруджева, то видно — свою трудовую биографию он начал с учителя физкультуры. Ясин всегда любил детей. Именно эта любовь и привела его в органы внутренних дел. Не



мог он оставаться сторонним наблюдателем, когда видел, как ребятишки становятся на преступный путь. А много ли может сделать учитель физкультуры? И вот пришло

ГАЛЕРЕЯ ПЕРЕДОВИКОВ

# Пользуется заслуженным авторитетом

решение: идти работать в милицию.

Я. Оруджева назначают инспектором детской комнаты Гардабанского РОВД, затем инспектором уголовного розыска по делам несовершеннолетних. Десять лет работы на этой должности,—а сколько ребятишек за эти годы встали на правильный путь, сколько благодарных слов он услышал в свой адрес — и не подсчитать.

Сейчас Ясин Оруджев работает старшим оперуполномоченным уголовного розыска. В служебной характеристике майора милиции Оруджева сказано: «Активно участвует в разоблачении преступников, проводит оперативно - розыскные и профилактические мероприятия. За период 1984 года задержал несколько десятков разыскиваемых, скрывавшихся от следствия и суда». Приказом министра внутренних дел республики, за хорошие показатели по розыску преступников он награжден денежной премией.

Однако, помимо розыскной работы майор Оруджев проводит и большую работу по раскрытию совершенных опасных преступлений. По его личной инициативе был раскрыт ряд преступлений.

И еще одна строка из служебной характеристики Я. Оруджева: «Среди сотрудников и населения пользуется заслуженным авторитетом». Это не просто слова, за ними большая работа над собой, за ними любовь к своему делу.

**В. ИВАНИДЗЕ.**

**НА СНИМКЕ:** майор милиции Я. Оруджев.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 29 ოქტომბერი — კომკავშირის დაბადების დღე
# 29 ОКТЯБРЯ — ДЕНЬ РОЖДЕНИЯ КОМСОМОЛА

## ბრძოლისა და შრომის მოწინავე ხაზზე

**ოციანი** წლების კომკავშირელთა თაობის წარმომადგენელია ნიკოლოზ სერგოს ძე მანჯგალაძე. 1925 წელს ის კომკავშირელი გახდა. იმ დროს წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა იულო ფიოლია, პატიოსანი და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ახალგაზრდების ნამდვილი აღმზრდელი. რაიონის კომკავშირლები დიდ მუშაობას ეწეოდნენ: გლეხებს უკითხავდნენ პოლიტიკურ ბროშურებს, ატარებდნენ ანტირელიგიურ პროპაგანდას და როცა საჭირო იყო, იარაღით ხელში ებრძოდნენ სოციალისტური წყობის მტრებს. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნიკოლოზ მანჯგალაძეც. სკოლაში სწავლის დროს ნიკოლოზი სკოლის გაზეთის „კომკავშირის ხმის“ და გაზეთის სატირული დამატების „ტარტაროზის შვილობილის“ რედაქტორი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ნ. მანჯგალაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტია. ის უნივერსიტეტშიც ეწევა კომკავშირულ მუშაობას. 1931 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნ. მანჯგალაძე გაანაწილეს ყვარლის ბანკში ეკონომისტ-კონსულტანტად. ყვარელში მას ირჩევენ რაიაღმასკომთან არსებული კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად. ძნელი დრო იყო, ყვარლის რაიონში კოლექტივიზაციის შემდეგ გავრცელდა ყაჩაღობა. რაიონის კომკავშირელები თავგანწირვით ებრძოდნენ კულაკებს, ახალი წყობის ყველა ჯურის მოწინააღმდეგეს. 1939 წელს ნ. მანჯგალაძე პარტიის წევრი ხდება, და იმავე წელს ინსტრუქტორად იწყებს მუშაობას საქართველოს კპ ცკ-ში. 1941 წელს იგი ჯარში გაიწვიეს, 1942 წლიდან ნ. მანჯგალაძე ფრონტის საველე ჰოსპიტლების სამმართველოს „ზამპოლიტია“.

ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, პარტიამ ნ. მანჯგალაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში მიავლინა. 12 წლის განმავლობაში იგი თბილისის მილიციის ქალაქის სამმართველოს უფროსის მოადგილეა პოლიტდარგში და პოლიტგანყოფილების უფროსია. შემდეგ ინიშნება მილიციის რესპუბლიკის სამმართველოში განყოფილების უფროსად, და ბოლოს მილიციის სკოლის უფროსად.

მილიციის გადამდგარი (1965 წლიდან) პოლკოვნიკი ნ. მანჯგალაძე ახალგაზრდების დიდი მეგობარია. ბატონი ნიკო პირველი მაისის რაიონში სამხედრო-პატრიოტულ სექციას ხელმძღვანელობს, ხშირად ხვდება მოსწავლეებს. მას ბევრი აქვს სათქმელი ახალგაზრდებისათვის. ხშირად უყვება მათ ოციანი წლების კომკავშირელთა შემართებაზე, იმაზე თუ რა ძნელ ბრძოლაში იბადებოდა კომკავშირი, როგორ სახელოვნად ატარეს ბრძოლისა და რევოლუციის დროშა მაშინდელმა კომკავშირლებმა და როგორ გადასცეს იგი ახალ თაობებს, რომელმაც უმწიკვლოდ ატარა სამამულო ომის გზებზე, ყამირზე, ბამზე, იქ სადაც ბრძოლისა და შრომის მოწინავე ხაზზე ლენინური კომკავშირის აღზრდილები იდგნენ.

**გ. კორძაძე**

## В РУКАХ МОЛОДЫХ

Немало успехов в своей трудной работе добиваются органы внутренних дел с помощью молодых кадров-комсомольцев, а главная их заслуг комсомола — воспитание в юношах и девушках честности, настойчивости, убежденности в своей правоте...

Вот один из тех, чье имя достойно называться среди самых активных молодых людей, работающих в органах внутренних дел нашей республики. Тенгиз Лаперашвили, секретарь первичной комсомольской организации оперативно-технического управления МВД ГССР, лейтенант милиции. В 1982-ом году закончил факультет связи ГПИ, попав по распределению на работу инженером, затем по рекомендации Калининского РК КП комсомолец Лаперашвили направлен на должность инженера оперативной связи ОТУ. Здесь, в кругу коллег и друзей, Тенгиз активно занимается общественной работой, не раз избирался секретарем первичной комсомольской организации. В 1985 году комсомольцы вновь оказали ему доверие, избрав своим вожаком. Комсомольская организация ОТУ вот уже на протяжении двух лет занимает одно из ведущих мест среди комсомольских организаций министерства.



Виолетта Давыдова — выпускница филологического факультета Тбилисского государственного университета. Вот уже три года она работает делопроизводителем УК МВД ГССР. Комсомолка Давыдова — член редколлегии стенной газеты управления.



**На снимках: Т. Лаперашвили и В. Давыдова.**

**Фото С. Сычева.**

## УЧАТСЯ СЕКРЕТАРИ

С 22-го по 25-е октября в Комсомольском городке Борис Дзнеладзе проходили учебные занятия секретарей первичных комсомольских организаций органов и подразделений внутренних дел ГССР. По сложившейся традиции учеба началась с проведения Ленинского урока в Тбилисском филиале центрального музея В. И. Ленина.

В праздничном открытии начала занятий приняли участие секретарь ЦК ЛКСМ Грузии Т. Г. Георгадзе и заместитель начальника политотдела МВД ГССР подполковник милиции И. В. Челидзе. За эти дни были проведены беседы о проблемах комсомольского строительства, организации внутрисоюзной работы, планирования, делопроизводства учета членов ВЛКСМ, идеологической борьбы в международном молодежном движении. Большое внимание было уделено задачам комсомольских органов по укреплению дисциплины и социалистической законности, вовлечению комсомольцев в активное занятие физкультурой и спортом, организации досуга и внеслужебного времени молодых сотрудников, шефству над трудновоспитуемыми подростками.

На практических занятиях и семинарах секретари первичных комсомольских организаций обменивались накопленным опытом работы, мнениями на волнующие вопросы. Завершилась учеба аттестацией, во время которой был продемонстрирован возросший уровень подготовки, несомненно способствующий более успешной деятельности комсомольских организаций органов и подразделений внутренних дел нашей республики. Кроме того, за прошедшие дни были организованы торжественные встречи с участниками Великой Отечественной войны, ветеранами органов внутренних дел, партии, комсомола. Для них был дан концерт, на котором выступили коллективы художественной самодеятельности органов и подразделений внутренних дел Тбилисского гарнизона. С занятиями комсомольцев ознакомился находившийся в республике второй секретарь ЦК ВЛКСМ В. В. Андрианов.

**М. ЯКОБАШВИЛИ,**
**помощник начальника политотдела МВД ГССР по комсомольской работе, капитан милиции.**

## ოციანი წლების კომკავშირლები

**დიდი ისტორიული გარდატეხის ეპოქაში რევოლუციურ გარდაქმნათა დროს ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არც კომკავშირს და საერთოდ არავის არ ემხრობოდა. შემდეგ ბევრი მათგანი პოლიტიკურ ვითარებაში გაერკვა, დაინახა ვის მხარეზე იყო სიმართლე და კომკავშირის რიგებში ჩადგა. ოციანი წლების კომკავშირელი თავისი მსოფლმხედველობის მიხედვით აფასებდა ადამიანს, მისთვის მთავარი იყო იდეა. ყველაფერი იდეას ეწირებოდა, ყოველგვარი პირადული უკანა პლანზე იყო გადატანილი. მორალურ კოდექსებს არავინ იმუშავებდა, იგი თავისთავად იქმნებოდა. იქმნებოდა ახალი ჭეშმარიტებანი და ახალი ჩვევები, ახალი მორალი და ახალი ეთიკა — კომკავშირული ეპოქის შესატყვისი.**

**გთავაზობთ ნაწყვეტებს ლენინური კომკავშირის ვეტერანის თამარ ბახტაძის მოგონებებიდან.**

**საქართველოში** საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ჩვენი ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ოციანი წლების კომკავშირელები ნამდვილი პატრიოტები და ინტერნაციონალისტები იყვნენ, რომლებიც გამოიწვრთნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში. 1918-1919 წლები დიდი, ბობოქარი ბრძოლების პერიოდად ითვლება საქართველოს ისტორიაში. განსაკუთრებით მწვავე იყო 1919 წელი. თეთრი ტერორის ალვირახსნილობას საზღვარი არ უჩანდა. მიუხედავად ამისა, კომკავშირელები ცხოვრების შუაგულში იდგნენ და ქმნიდნენ „მფრინავ რაზმებს“, რომლებიც გასაოცარი მოხერხებითა და შეუპოვრობით ასრულებდნენ პარტიის მიერ დაკისრებულ საბრძოლო დავალებებს, შოულობდნენ იარაღსა და ტყვია-წამალს, აწყობდნენ დემონსტრაცია-მიტინგებს, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, მენშევიკური სამხედრო შტაბებიდან გამოჰქონდათ საიდუმლო ცნობები.

1919 წელს ქუთაისში პარტიის კომიტეტმა კომკავშირის ორგანიზაციას დაავალა მენშევიკური მთავრობის საწინააღმდეგო საპირველმაისო მიტინგის მოწყობა. მიტინგს ესწრებოდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი მიხა ცხაკაია, მარიამ და მამია ორახელაშვილები, შამშე ლეჟავა, დავით ლორთქიფანიძე, ამ მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი მიხეილ ბახტაძე და სხვები. მ. ბახტაძე ხონის „სპარტაკის“ ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. იგი ესწრებოდა საქართველოს კომკავშირის პირველ ყრილობას, რომელიც გაიმართა 1920 წელს თბილისში. 1919 წელს მეც მივიღე პირველი საბრძოლო დავალება — ქუთაისში წავედი მეკავშირესთან არალეგალური ლიტერატურის მისაღებად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ზრდა და განმტკიცება, მათი საქმიანობა და ყოველივე ახლის ჩამოყალიბების, წამოწყების პროცესი კლასობრივი წინააღმდეგობის, ბრძოლის ქარცეცხლში მიმდინარეობდა. 1924 წლის აგვისტოს მენშევიკებმა მოაწყეს ავანტიურისტული გამოსვლები. კომკავშირმა იმ დღეებში დიდი მამაცობა გამოიჩინა. ბევრი მათგანი დაიღუპა, მაგრამ სწორედ იმ დღეებში მრავალი ახალგაზრდა შევიდა კომკავშირის რიგებში. — თუ ბრძოლაში დაღუპვა გვიწერია, დაე, კომკავშირელებად დავიხოცოთ, — წერდნენ ისინი თავიანთ განცხადებაში. ამავე წლის გვიან შემოდგომაზე კონტრრევოლუციურმა ბანდამ ვერაგულად მოკლა გამობრძმედილი კომუნისტი, ჩეკისტი დომენტი კუჭუხიძე. იგი ქუთაისის მაზრის საგანგებო კომისიის უფროსი იყო. ეს თბილი გულისა და მახვილი გონების კაცი ყველას უყვარდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაისახა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ. თვით ლენინი, ლუნაჩარსკი და კრუპსკაია ედგნენ სათავეში ამ დიდ საქმეს, რაიონული ცენტრიდან თუ მაზრებიდან მიდიოდნენ ამხანაგები მიყრუებულ სოფლებში, მიუვალ ადგილებში. თითოეულ მათგანს მიჰქონდა ცოდნის წყარო, პარტიისა და კომკავშირის სიყვარული, სიმართლე ახალ წყობაზე. კომკავშირმა პირნათლად შეასრულა პარტიის ეს დავალებაც. 1922-23 წლები ათეისტური შეტევის წლებია. „შეტევა ზეცის წინააღმდეგ“ — ასე ვეძახდით ამ ბრძოლას, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული კომკავშირელები.

ბევრი რამ გაგვეგონა კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლისა და საყვარელი წინამძღოლის ბორის ძნელაძის შესახებ. ბორისთან შეხვედრას ვნატრობდით, გვეგონა, გარეგნულადაც მაღალი, მოსული ვაჟკაცი იყო და როდესაც 1922 წელს პირველად შევხვდით, განვცვიფრებული შევცქეროდით. გარეგნობით არ ჰგავდა ჩვენს წარმოდგენილ გმირს, მაგრამ მისი სიტყვის წყალობით ჩვენს წინაშე „ვეება“ ვაჟკაცი იდგა.

ოციანი წლების საქართველოს კომკავშირი ქალთა სიჭარბით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ვინც ჰყავდა, რჩეული ჰყავდა. მინდა გავიხსენო ზოგიერთი მათგანი, ვინც ჩემს გვერდით იბრძოდა ყოველივე ახლის დასამკვიდრებლად.

თამარ გაბარაშვილი იყო საქართველოს ოციანი წლების კომკავშირის მჩქეფარე გული და უშიშარი სული, კომკავშირელ ქალთა სიამაყე, მისი მშვენება. რიტა ალავერდოვა (ცნობილი რევოლუციონერის სტეფანე ალავერდოვის და) მენშევიკების ბატონობის წლებში ქუთაისის იატაკქვეშეთში მუშაობდა, სადაც მას „პატარა რიტას“ ეძახდნენ, მაგრამ ყველა დავალებას ბრწყინვალედ ასრულებდა. ქსენია ცინცაძე (ერთ-ერთი პირველი ჩეკისტის კოტე ცინცაძის და) კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო უნივერსიტეტში. აქტიური კომკავშირელები იყვნენ თამარ აბაშმაძე, ანა ბახტაძე (ნოდარ დუმბაძის დედა), თებრო კაკაბაძე, შუშანა კუპრაშვილი და სხვები.

მინდა ოციანი წლების მოგონებანი დავამთავრო მ. გორკის სიტყვებით: „ოციანი წლების კომკავშირი რაც შეეძლო ყველაფერს აკეთებდა და მან ყველაფერი გააკეთა რაც შეეძლო“.

# სიმშვიდის სადარაჯოზე

**29 აპრილს** უგზოუკვლოდ დაიკარგა მცხეთის რაიონის მცხოვრები, 38 წლის ელენე კოლოტაური. ამ შემთხვევის შესახებ იმავე დღეს მიიღეს შეტყობინება მცხეთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში...

თვეზე ცოტა მეტი დრო დასჭირდათ რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებს ამ რთული საქმის დეტალებში გასარკვევად. დიდი ხნის ძებნის შემდეგ გარდაბნის რაიონთან, მდინარე მტკვარში იპოვნეს ე. კოლოტაურის გვამი. აქ წყდებოდა დანაშაულის კვალი. დიახ, როგორც შემდეგ გაირკვა, ჩადენილი იყო სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის გახსნა და დამნაშავეთა დადგენა არც ისე იოლი გამოდგა.

გამოძიების მსვლელობას სისტემატურად და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი გ. კვანტალიანი და სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ნ. ქავთარაძე.

ოპერატიული ჯგუფის შემადგენლობაში იყო სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ზურაბ ჩიქოვანი. — ღამეებს ვათენებდით, სანამ დანაშაულს ფარდა აეხდებოდა, — გვიყვება ზურაბი, — ექსპერტებმა, რომლებმაც ყურადღებით შეისწავლეს დაზიანებანი დაღუპულის სხეულზე, დაადგინეს, რომ ე. კოლოტაური ავტო-საგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა. დაადგინეს აგრეთვე, ავტომანქანის მარკა და ისინი ვინც ეცადა მტკვრის მღვრიე ტალღებში ჩაკარგულიყო ამ დანაშაულის კვალი. თავისი სულმოკლეობითა და სილაჩრით ერთ დანაშაულს მეორე დაუმატეს მცხეთის რაიონის სოფელ თელოვანის მკვიდრმა ა. მამედოვმა და შ. ბაირამოვმა, რომელიც დმანისის რაიონის სოფელ ლოქჯანდარში ცხოვრობს...

ეს იყო ერთ-ერთი ბოლო დანაშაული, რომლის გახსნაშიც აქტიურად მონაწილეობდა ზ. ჩიქოვანი. იგი თითქმის ოცი წელია შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს; აქედან, 12 — სისხლის სამართლის სამძებროში. რიგითი მილიციელის მოვალეობათა შესრულებით დაიწყო მან მუშაობა თბილისის პირველი მაისის შს რაიგანყოფილებაში; დღეს კი კომუნისტი, მილიციის კაპიტანი, მცხეთის შს რაიგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს ამთავრებს.

სამსახურის ორი ათეული წლის განმავლობაში წარუმატებლობებიც ჰქონდა, მოულოდნელი და საგანგაშო განცდებიც, დიდი სიხარულიც, როდესაც დაძაბული მუშაობის შემდეგ დახლართული დანაშაული გაიხსნა და ბოროტმოქმედიც დაკავებულია. რამდენი ასეთი საქმე ყოფილა ოპერრწმუნებულის პრაქტიკაში? ახლა ძნელიც კია მათი დათვლა; მაგრამ არის კი საჭირო რაოდენობის დადგენა. მთავარი ის არის, რომ ხალხს სწამს შენი, ამიტომაც მშვიდად შეუძლია იშრომოს და დაისვენოს. ასე ფიქრობს ზ. ჩიქოვანი, რომელმაც არაერთხელ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში და ხელმძღვანელობამაც მრავალჯერ წაახალისა.

**ა. ხუციშვილი.**

# ПРЕЕМСТВЕННОСТЬ

**Еще в прошлом году ученики 9-а класса 50-й средней школы под руководством своего классного руководителя Лили Армeновны Дарбазовой в преддверии 40-летия Победы стали вести поисковую работу. Их интересовали те работники органов внутренних дел, которые на фронтах Великой Отечественной защищали честь и независимость Родины. Поиски увенчались успехом. Собранного материала оказалось столько, что было решено создать в школе уголок боевой славы работников милиции.**

**— Совсем недавно, — рассказывает Лили Армeновна, — нам удалось получить копию письма знаменитого разведчика времен гражданской войны Павла Макарова, которое им адресовано Григорию Каранадзе, впоследствии министру внутренних дел республики, ведущему работнику охраны советской делегации на Ялтинской и Потсдамской конференциях.**

**Согласитесь, это очень интересный экспонат нашего уголка боевой славы. Сегодня мы пришли в музей МВД, которым руководит друг нашей школы Татьяна Андреевна Серебрякова. Юным гражданам, несомненно, будет интересно узнать как об истории нашей милиции, так и о ее настоящем.**

**Начальник музея МВД ГССР майор милиции в отставке Т. Серебрякова и прибывшие на встречу с учащимися ветераны органов внутренних дел рассказали ребятам о зарождении и становлении грузинской советской милиции. С большой теплотой вспомнили они своих боевых друзей, которые не дожили до Победы. И с каким интересом слушали юные ветеранов, без лишних слов говорило о том, что вырастает достойное дедов поколение.**

**Г. БУНДИН.**

**На снимке: во время встречи в музее МВД ГССР.**

Фото **С. Сычева.**



# „გამომძიებლის დრო“

**თბილისის** ა. ს. გრიბოედოვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე მორიგ პრემიერად დაიდგა ა. კოტეტიშვილის დეტექტური ისტორია „გამომძიებლის დრო“. სპექტაკლი დადგეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ჟორდანიამ და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჩერქეზიშვილმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. იოფე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ჯ. სიხარულიძე, ზ. გრიგორიანი და სხვები.



# ИТОГИ ОБНАДЕЖИВАЮТ

**17 — 20 октября в г. Баку состоялся лично-командный чемпионат МВД СССР по автомобильному многоборью. В нем приняли участие команды МВД всех союзных республик, ГУВД Москвы и Ленинграда. О ходе соревнования и его итогах мы попросили рассказать тренера сборной команды МВД ГССР, старшего лейтенанта милиции С. ГАЛСТЯНА.**

Подготовку к очередному, девятому чемпионату МВД СССР по автомногоборью мы начали как никогда рано — в июне сего года. К этому нас побудили неудачи прошлых лет, когда после двухнедельных сборов наспех подготовленные команды занимали последние места.

В нынешний состав сборной мы включили новых спортсменов. Пришлось начинать с азов...

И вот первый день чемпионата — соревнование по скоростному маневрированию и экономичному вождению на автомобиле «УАЗ 469-АП». Уверенно, почти без ошибок, проходят дистанцию наши ребята. И вот первая сенсация чемпионата — в скоростном маневрировании мы—четвертые! Это оказалось настолько неожиданным, что один из судей попросил главного секретаря соревнований пересчитать заново наши очки.

Результат в экономичном вождении был хуже — 11 место, а в итоге после двух видов мы оказались на седьмом месте.

Второй день — автомобильный слалом на «Жигулях». Трое наших прекрасно справляются с трудностями трассы, четвертый выступает неудачно. В слаломе мы — шестые. Шестые и после трех видов.

Последний день соревнований — служебный биатлон. На дистанции кросса в полтора километра два огневых рубежа. Выигрывают здесь быстрые, меткие спортсмены. Увы, в этом виде многоборья мы оказались подготовленными слабее, что отбросило нас на восьмое общекомандное место. Очень немного уступили мы команде Казахстана, занявшей шестое место.

Итак, восьмое место. Хорошо это или плохо? Хорошо, если учесть, что в прошлые годы выше 13—14 места нам подняться не удавалось. И одновременно плохо, т. к. мы вполне могли стать шестыми.

Главный же итог прошедших соревнований в том, что ребята поверили в свои силы и считают теперь, что в будущем году смогут бороться за одно из призовых мест.

**Рассказ тренера команды дополняет начальник отдела физподготовки и спорта Грузсовета «Динамо», майор внутренней службы Д. Рапава.**

— Впервые за десять лет участия в чемпионатах МВД СССР по автомногоборью нашей команде удалось войти в десятку сильнейших и принести республике 30 очков в Общесоюзном зачете. Итоги чемпионата подтвердили правильность избранного нами метода подготовки — круглогодичные тренировки в рамках спортивной секции. И еще мы поняли, что для достижения более высоких результатов нашей команде в течение года необходимо принимать участие в нескольких соревнованиях. У нас уже есть предварительная договоренность и в будущем году до чемпионата МВД СССР мы расчитываем участвовать в одном из зональных соревнований РСФСР и в чемпионате России.

И еще нам необходима повседневная помощь автослужбы министерства в оперативном решении всех возникающих вопросов.



**НА СНИМКЕ:** открытие соревнований.

# ЭКА БОКУЧАВА — АБСОЛЮТНАЯ ЧЕМПИОНКА

На кортах Дворца тенниса завершились игры открытого чемпионата Грузии по теннису, в котором принимали участие сильнейшие теннисисты Советского Союза.

Отлично выступили в них динамовцы Тбилиси. Так, ученица 53-й средней школы воспитанница тренера Рены Абхандзе 14-летняя Эка Бокучава впервые в истории Грузинского тенниса стала абсолютной чемпионкой Грузии в столь раннем возрасте. Она победила в финале одиночного разряда москвичку Елену Полякову, вторую золотую медаль она получила вместе со своей подругой по команде Экой Тохадзе, а третью получила за выступление в смешанном парном разряде с динамовцем Георгием Мирианашвили.

Убедительную победу одержал Давид Кочарава (тренеры Г. Тохадзе, Т. Какулия), ставший чемпионом республики, вторым призером стал армеец Леван Размадзе, а бронза у динамовца Георгия Мирианашвили, еще одну награду высшего достоинства Мирианашвили получил за выступление в парном разряде с Кочарава.

Сразу же по окончании первенства Грузии его участники приняли участие в открытом первенстве Грузсовета «Динамо».

Здесь успех среди женщин сопутствовал динамовке Елене Поляковой из Москвы, второе место — у Ады Погосовой — («Буревестник» Тбилиси), а третье место у юной динамовки Нино Циргвава.

У мужчин первый приз также достался гостю соревнований спартаковцу Александру Симоняну, который в финальном поединке победил мастера спорта Николая Элердашвили из Тбилиси, бронзовая награда у динамовца Давида Кварацхелия.

Юные динамовки Ирма Кульдонашвили, Лика Тамирова вызваны в Ташкент на Всесоюзный сбор, а сильнейшие динамовцы Владимир Габричидзе, Давид Кварацхелия и Ирина Малацидзе примут участие в чемпионате СССР в гор. Ереване.

**А. МАЛАЯНЦ,**
**главный судья открытого первенства Грузсовета «Динамо», арбитр Всесоюзной категории.**

# НА ОТКРЫТОМ ЧЕМПИОНАТЕ

На кортах теннисного стадиона «Динамо» после окончания открытого чемпионата Грузии, стартовал открытый чемпионат Грузинского республиканского совета «Динамо», в котором приняли участие, помимо динамовцев, спортсмены из «Буревестника», «Спартака», «Гантиади» и динамовка из Москвы, мастер спорта Елена Полякова, которая и стала сильнейшей среди женщин. В финале она обыграла опытную студентку из ТГУ Аду Погосову, третье призовое место завоевала юная динамовкаНиноЦиргвава.

У мужчин победителем открытого чемпионата стал спартаковец Александр Симонян, который в финальном матче победил опытного мастера спорта Николая Элердашвили («Буревестник» Тбилиси), третье призовое место у динамовца Давида Кварацхелия.

Турнир закончился, юные динамовцы Лика Тамирова, Ирма Кульдонашвили вместе со спартаковкой Нино Беридзе едут в Ташкент на Всесоюзный сбор теннисистов, а сильнейшие наши теннисисты стартуют в Ереване на чемпионате СССР 1985 года.

**А. МАМАЛАДЗЕ.**

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-41-24. **Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24** უე 08915
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.